ახალი ხარაგაული

378 (9) 11 მაისი, 2018 წ.

ხარაგაულში ფაშიზმზე გამარჯვების 73 წლის იუბილე აღნიშნა

იმერეთის მხარის რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა გრიგოლ დალაქიშვილმა, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა და ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ შინმოუსვლელთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და ადგილზე შეკრებილ სამამულო ომის მონაწილეებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს. ამჟამად ხარაგაულში 9 ომის ვეტერანია, მათგან გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მოსვლა კი მხოლოდ ოთხმა შეძლო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარაგაულიდან ფრონტზე 5706 კაცი გაიწვიეს, აქედან 2704 მეომარი შინ ვეღარ დაბრუნდა, 798 გმირული ბრძოლისათვის დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, 6 მათგანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ომის ველზე წასული 19 მამა-შვილი უკან აღარ დაბრუნებულა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ერთი ოჯახიდან ომში 4-5 ძმას უწევდა წასვლა. ასე დაეცა ბრძოლის ველზე ოთხი ძმა - სახვაძე - ვერტყვიჭალიდან, ოთხი ძმა - ავალიანი-სარგვეშიდან, ოთხი ძმა - ტაბატაძე -ხევიდან, ხუთი ძმა - კუპატაძე-ვანიდან და სხვა. შინ დარჩენილ ხარაგაულელებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ გამარჯვებაში. ჩვენი რაიონიდან გაიგზავნა 13 მილიონი მანეთი სატანკო კოლონებისა და თვითმფრინავების შესაძენად, 18 მილიონი-თავდაცვის ფონდში. შეგროვდა 100 ტონაზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტი. ასე უპასუხეს ხარაგაულელებმა მოწოდებას -,,ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის.“

საერთო ჯამში, მეორე მსოფლიო ომს 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის, საქართველოდან 200 ათასი მოქალაქე დაიღუპა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამამულო ომის გმირებს 600 ლარი ჩაერიცხებათ, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თითოეულისათვის 200 ლარი გამოიყო. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის გამგეობა ომის ვეტერანებს ყოველთვიურად კომუნალურ ხარჯებს უფარავს.

ნიკოლოზ თოფურიძემ ფაშიზმზე გამარჯვების დღე ომის ვეტერანებს პირადად მიულოცა

9 მაისს იმერეთის მხარის რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ დალაქიშვილი და ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე ომის ვეტერან ეკატერინე წიქარიშვილისა და ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე ვერა არევაძის ოჯახებს სტუმრობდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა სამამულო ომის გმირებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე პირადად მიულოცეს და ჯანმრთელობა უსურვეს.

როგორც ნიკოლოზ თოფურიძემ აღნიშნა, სწორედ ამ ადამიანების დამსახურებით ჩვენმა სამშობლომ დიდ გამარჯვებას მიაღწია.

,,თქვენ ხართ საქართველოს სიამაყე, რადგან უდრეკად იდექით ქვეყნისა და ერის მთლიანობის სადარაჯოზე. ერთმანეთის თანადგომა, ერთგულება და თავგანწირვა თუ არ არსებობს მეგობრობაში, პატრიოტიზმში, ყველაფერი ფუჭი და ამაოა. მინდა, დიდი პატივისცემა გამოვხატო თითოეული თქვენგანის მიმართ და მოგილოცოთ დღევანდელი დღე,“ -აღნიშნა მერმა.

ხარაგაულის მერმა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ მოადგილე არჩილ მაღრაძესა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ბორში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დაათვალიერა.

ბორის ცენტრალურ გზაზე ბეტონის საფარი 2 კმ-ზე დაიგება. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 421 975 ლარით ფინანსდება. ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა კი თანხის 5%-ს შეადგენს.

სოფელში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, სახელშეკრულებო ვადებით, ივნისის ბოლოს დასრულდება.

გარდა ამისა, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია ზედა ლაშეში, ქროლში, ღარიხევში, უჩამეთში, მარელისში, გრიგალათში, ხუნევში, ნადაბურში, დეისში, ნუნისში, უბისაში, საქასრიასა და ვაშლევში.

აღნიშნულ სოფლებში ასფალტ–ბეტონის საფარიანი გზა არასდროს ყოფილა. მოსახლეობისათვის ამ გზებზე გადაადგილება წლების განმავლობაში ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პროექტის განხორციელებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ადგილობრივებს სრულიად ახალი გზით, უსაფრთხოდ და კომფორტულად, შეეძლებათ მოძრაობა.

ბქინევში ცემენტბეტონის საფარი დაიგება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბჟინევს მთის განვითარების საბჭოს გადაწყვეტილებით, რომლის წევრი ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილია, 2018 წელს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა. საქართველოს მთავრობის 3 მაისის N995 განკარგულების თანახმად მაღალმთიან დასახლებებს ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 6 864 674 ლარი გამოიყო. აღნიშნული თანხით მოხდება ბჟინევის გზის მობეტონება, რომლისთვისაც 320 310 ლარი დაიხარჯება. როგორც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე აცხადებს, სამუშაოების განხორციელების მიზნით ხარაგაულის მერია ტენდერს უახლოეს მომავალში გამოაცხადებს და გზის რეაბილიტაცია მიმდინარე წელს დასრულდება. თოფურიძის ინფორმაციით, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მუნიციპალიტეტში ერთ–ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. გასულ წელს, ამ კუთხით, დაახლოებით, 6 მილიონ - ნახევარი ლარი დაიხარჯა და საერთო ჯამში გზის კაპიტალური შეკეთება 26 სოფელში მოხდა. პირველ ეტაპზე კი პრიორიტეტი ისეთ ადმინისტრაციულ ერთეულებს მიენიჭა, სადაც კომპაქტური დასახლებებია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულს 5 500 602 ლარი გამოეყო და აღნიშნული თანხით 22 სოფლის გზის რეაბილიტაცია იგეგმება.

მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძარზე გუმბათის დადგმა მიმდინარეობს

ხარაგაულში საუკუნის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. მაცხოვრის შობის საკათედრო ტაძარზე გუმბათის მობეტონებისა და ჯვრის საყრდენის გასაკეთებლად სამუშაოები მიმდინარეობს. საკათედრო ტაძარი, ძირითადად, შემოწირულობებითა და მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის დაფინანსებით შენდება. აღსანიშნავია, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მარგვეთისა და უბისის ეპარქიის განვითარების ფონდს საკათედრო ტაძრის გადახურვის სამუშაოების შესასრულებლად 95 000 ათასი ლარი გადაერიცხა.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

„გვირილობა 2018“ განსხვავებულად აღინიშნა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის ინიციატივით, „გვირილობა 2018“ მუხნარის ტყეში განსხვავებულად, საქველმოქმედო ღონისძიებით, აღინიშნა. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტებმა ტრადიციული სამზარეულოს ნაცვლად მცირე პერფორმანსები, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქტები და რენვის ნიმუშები წარმოადგინეს. გამოფენა–გაყიდვიდან შემოსული თანხა მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდება. აღნიშნული მიზნით მთელი დღის განმავლობაში დადიოდნენ „გიმნაზისტი გოგონები“, რომლებიც გვირილების თაიგულებს ყიდდნენ. ღონისძიებაში აქტიურად იყო ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია. მუსიკალური ნომრები შეასრულეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა „ოდილამ“, „კახორმა“ და ინდივიდუალურმა შემსრულებელმა თიკო ჯანიაშვილმა. ,,სპორტისა და ტურიზმის ცენტრის“ ორგანიზებით, ხარაგაულის ფალავნებმა მონაწილეობა მიიღეს კოლია ქვარიანის სახელობის ქართული ჭიდაობის ტურნირში, რომელშიც ლევან ხაჩიძემ პირველი ადგილი დაიკავა და ქვარიანის სახელობის თასითა და სპეციალური სიგელით დაჯილდოვდა. სახალხო დღესასწაულს ქუთაისში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები: არჩილ მაღრაძე და თემურ ჩხეიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ირინე ჩხეიძე და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

აღსანიშნავია, რომ ,,გვირილობა“ („თეთრი გვირილის დღე“) მე - 20 საუკუნის დასაწყისში ქუთაისში დამკვიდრებული საქველმოქმედო დღესასწაული იყო, რომელიც ტუბერკულოზით დაავადებულთა დახმარებისა და სოლიდარობის ნიშნად ტარდებოდა.

ეკა შავიძე

საკრებულოს თავმჯდომარემ მანანა ბარბაქაძემ ომის ვეტერანი გიორგი ბლუაშვილი მოინახულა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, ახალგაზრდული საკრებულოს წევრებთან და ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ნონა ზურაბიანთან ერთად, დაბა ხარაგაულში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე გიორგი ბლუაშვილს სტუმრობდა. როგორც ქალბატონმა მანანამ აღნიშნა, შეუფასებელია ამ ადამიანის ამაგი, რაც მან სამშობლოს წინაშე გასწია.

მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა ახალგაზრდებისთვის ვეტერან გიორგი (ჟორა) ბლუაშვილთან შეხვედრა. ომის ქარცეცხლიანი დღეების მონაწილემ არაერთი ეპიზოდი უამბო მათ იმ მძიმე წლებიდან და ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი, თუ რა დიდი განძია მშვიდობა.

ახალგაზრდებმა ომის მონაწილეს მათთვის საინტერესო თემებზე კითხვები დაუსვეს და სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

ეკა შავიძე

სამოქალაქო განათლება - მასტერკლასი საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თინათინ ბოჭორიშვილი) მეორე წელია, საგანმანათლებლო კვირეულს ატარებს. კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიებები იმართება, რომელშიც ჩართული არიან მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების უფროსკლასელები. 3 მაისს მერიის მხარდაჭერით ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში დაბის სკოლების მოსწავლეებისთვის მასტერკლასი მოწვეულმა ტრენერმა, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის აკადემიურმა დოქტორმა, სსიპ ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ტრენერმა ქეთევან კუხიანიძემ ჩაატარა. სემინარის მთავარი თემა ადამიანის უფლებებს ეხებოდა. მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ თემის განხილვაში და იმსჯელეს სამოქალაქო განათლების შესახებ. მათთვის ნაჩვენები იქნა ვიდეო-რგოლები ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ, თუ რა უფლება-მოვალეობები აკისრია მოქალაქეს და როგორ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ ამ უფლებების განხორციელება და დაცვა. ტრენინგი ღია სივრცეში, კულტურისა და დასვენების პარკში, სახალისო პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებით დასრულდა. ტრენერმა ქეთევან კუხიანიძემ აღნიშნა, რომ ხარაგაულში საკმაოდ მოტივირებული, მიზანდასახული და ნათელი გონებით გამორჩეული აუდიტორია დახვდა. იგი მზადაა, თანამშრომლობა მომავალშიც გააგრძელოს მუნიციპალიტეტთან.

ლელა გუგულაშვილი

დეპუტატები მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციას გაეცნენ

პირველ მაისს გამართულ ბიუროს ხდომაზე დეპუტატებმა მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია მოისმინეს. საკითხი მათ ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა თემური თაბუკაშვილმა გააცნო და აღნიშნა, რომ 2017 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს 5 950 256 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხით 24 პროექტი მომზადდა და ცუდი კლიმატური პირობების გამო ათმა განსახორციელებლად 2018 წელში გადაინაცვლა. დღეისათვის ექვსი მათგანი უკვე დასრულებულია, ხელშეკრულება შეუწყდა ორ შემსრულებელ კომპანიას (დაბა და ლახუნდარა) და ამჟამად სამუშაოები ჩრდილსა და კიცხში მიმდინარეობს. როგორც თაბუკაშვილმა განმარტა, შეწყვეტილ პროექტებზე მოხდა შესრულებული სამუშაოების გამიჯვნა, მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია და ტენდერი თავიდან გამოცხადდა.

რაც შეეხება სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების აღდგენით სამუშაოებს, ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტის სტიქიის ფონდიდან პირველ ეტაპზე 700 ათასი ლარი, ხოლო მეორე ეტაპზე 1 650 000 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხა ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გადანაწილდა და გზების რეაბილიტაციისათვის 407 100 ლარი დაიხარჯა, ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის- 129 500 ლარი, სანიაღვრე არხის მოსაწყობად - 42 000 ლარი, ხიდის რეკონსტრუქციისათვის -117 145 ლარი, სხვა სამუშაოებისათვის - 4 255 ლარი. აღსანიშნავია, რომ პროექტების ნაწილი დასრულებულია და ამ ეტაპზე ხუთ მათგანზე მიმდინარეობს მუშაობა.

გარდა ამისა, სხდომაზე თემური თაბუკაშვილმა მიმდინარე წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებულ პროექტებზეც ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბეტონის საფარის დაგება 22 სოფელში იგეგმება. სამუშაოების განხორციელების მიზნით კი ტენდერები გამოცხადებულია. რამდენიმე სოფელში კი სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

თამარ მაღრაძე

ყურადღება აუქციონი!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა.

წინასწარი შესატანი „ბე“-ს ოდენობა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%-ია;

„ბიჯი“-საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%-ი.

იჯარით გასაცემი ობიექტია:

სოფელ უბისაში-არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული მომსახურების ცენტრის შენობა (ობიექტის საწყისი წლიური საიჯარო თანხა 7482 ლარი);

აუქციონი გაიმართება 2018 წლის 15 მაისს 16 საათზე და დასრულდება 2018 წლის 25 მაისს 16 საათზე.

სოფელი უნდა გაძლიერდეს, ქვეყანა რომ ძლიერი იყოს...

სოფლის მეურნეობას ყოველთვის გადამწყვეტი ადგილი ეკავა საქართველოს ეკონომიკაში. სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში პარალიზება მოხდა ამ სექტორში და მკვეთრად შემცირდა მწარმოებლობა. თუმცა 2013 წლიდან, მთავრობის ძალისხმევით, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით აგრარული დარგის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯები გადაიდგა. ფერმერთა კონკურენტუნარიანობის ზრდისა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. 250 000 -ზე მეტმა ადამიანმა საგრანტო პროგრამების ფარგლებში დაფინანსება მიიღო და აქტიურად ჩაერთნენ საკუთარი მეურნეობის განვითარებაში. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც საკუთარი ხარჯებით უწევთ ამ სფეროში საქმიანობა.

გია ჭიპაშვილის ფერმერული წარმატების ისტორია სამი წლის წინ დაიწყო. მან გადაწყვიტა, საკუთარი წვლილი შეეტანა დარგის განვითარებაში და ამისთვის სხვადასხვა მეთოდი აირჩია. საქმიანობა მეფუტკრეობით დაიწყო, ამას დაემატა სათბური და მეფრინველეობა. გია ამავდროულად ხარაგაულის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ დირექტორი გახლავთ. ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმე ხელს ნამდვილად არ უშლის, სოფლის მეურნეობით იყოს დაკავებული. როგორც თვითონ ამბობს, წლების წინ ნამდვილად ვერ იფიქრებდა, თუ ამ სფეროთი დაინტერესდებოდა, მაგრამ დღეს ეს საქმიანობა მისთვის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია.

- ბატონო გია, ფერმერებისთვის ყველაზე დიდი დახმარება მათი სწორ გზაზე დაყენება და საჭირო პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდებაა. თქვენ ვინ დაგეხმარათ?

-როცა სათბურის გაკეთების იდეა მომივიდა, ბევრჯერ მივიღე მონაწილეობა საგრანტო პროგრამაში, დავწერე პროექტები, მაგრამ დაფინანსება ვერ მოვიპოვე. სურვილი იმდენად დიდი მქონდა, გამოვიტანე ბანკიდან სესხი და საკუთარი ფინანსებით დავიწყე საქმიანობა. ამ ყველაფერს კი ცოდნა სჭირდებოდა, ამიტომ დავუკავშირდი კომპანია ,,კარტლისს“, რომელიც ქართულ ბაზარზე 1997 წლიდან მოღვაწეობს და აქ გავიარე სასწავლო სემინარები. ,,კარტლისი“ უძლიერესი კომპანიაა, რომელმაც მიზანდასახული მუშაობის შედეგად ათასობით მომხმარებლის ნდობა მოიპოვა და დღეისთვის საქართველოში ერთ-ერთ წამყვან ორგანიზაციას წარმოადგენს. ადგილობრივი ფერმერები და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგით დაინტერესებული პირები აქ ეცნობიან ახალ ტექნოლოგიებს, მათ გამოყენებას, რომ უფრო მეტად გახდეს შესაძლებელი კონკურენციის გაწევა სხვა ქვეყნების ფერმერებისთვის. კომპანიის სპეციალისტები მსურველებს დახმარებას უწევენ ყველა სფეროში. რაც შეეხება მეფუტკრეობას, ამჟამად 12 ძირი სკა მყავს. პროდუქტის რეალიზაციას ძირითადად თბილისში ვახდენ. მუდმივად მაქვს ურთიერთობა გამოცდილ და მცოდნე ადამიანებთან და ვიღებ მათგან რჩევებს. ხშირად ვკითხულობ სპეციალურ ლიტერატურას, ვეცნობი სიახლეებს, აუცილებელია, ფერმერმა ყველა დეტალი იცოდეს, რაც მისი მეურნეობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

- სასათბურე მეურნეობა ბევრ შრომას მოითხოვს, როგორ ახერხებთ ამდენი საქმის ერთად კეთებას?

- სათბური, რომელიც ჩემს სოფელში, ისლარში, გავაკეთე, ოჯახური მეურნეობაა. ამ პროცესში ჩართული არიან ჩემი ძმა, დედა და მეუღლე. მათაც უწევთ ფიზიკურად მუშაობა. როცა ამდენი ადამიანი ერთად ვშრომობთ და ერთმანეთს ვენაცვლებით, დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენს. ამჯერად მომყავს მწვანე სალათა. დასაწყისში კარგად არ ვიცოდი ყველა ნიუანსი და ამიტომ მოსავლის დიდი ნაწილი გამიფუჭდა. მაგრამ ხელი არ ჩამიქნევია, ამით უფრო მეტი გამოცდილება მივიღე და ახლა ზუსტად ვიცი, როგორ მოვიქცე. თითქმის ყოველ კვირაში ვიღებ ახალ მოსავალს, დაახლოებით 300 კგ რაოდენობით და ვაბარებ, როგორც ქუთაისის, ისე ხარაგაულის ბაზარზე. სათბური 300 კვ.მ-ზეა განთავსებული. ნიადაგის და წყლის ანალიზიდან დაწყებული, ყველა საჭირო ეტაპი გავიარე. მიწა ბიოლოგიური დანამატებით გავანოყიერე. ჩითილებიც აქვე გამომყავს. ერთადერთი პრობლემაა, რომ არ მაქვს გათბობის სისტემა. ამაზეც გავაკეთე პროექტი. შესაძლებელი იყო დაფინანსების მიღება, მაგრამ ისევ უარი მომივიდა. სამომავლოდ ამ პრობლემასაც მოვაგვარებ და მერე, ალბათ, უფრო ძვირადღირებულ კულტურულ ჯიშებსაც მოვიყვან. ახლა მეფრინველეობაც დავიწყე. შევიძინე უკრაინული ჯიშის მეკვერცხული ქათმები. ჯერ არ ვიცი, რა შედეგს მივიღებ, მაგრამ იმედი მაქვს, ეს მცდელობაც წარმატებით განვითარდება.

- რას ეტყვით და რა რჩევებს მისცემთ იმ ადამიანებს, ვინც დაინტერესებულია სოფლის მეურნეობით?

-უმუშევარი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მარტო ხელფასით ოჯახის გაძღოლა, დამერწმუნებით, არაა მარტივი. მით უმეტეს, როცა შვილები იზრდებიან, მეტი ხელშეწყობა და გვერდით დგომა სჭირდებათ. სამსახურის პარალელურად ყოველთვის ვცდილობდი დამატებით სხვა საქმეც მეკეთებინა. სოფელი უნდა გაძლიერდეს, ქვეყანაც რომ ძლიერი იყოს. იმდენი რესურსი და პოტენციალი აქვს საქართველოს, ადგილობრივი ბაზარი იმპორტზე დამოკიდებული არ უნდა იყოს. მარტივად შეიძლება ქართული პროდუქციით ჩანაცვლება. მთავარია, ადამიანმა მოინდომოს და ყველაფერი გამოვა იმაზე კარგად, ვიდრე წარმოგვიდგენია. წამგებიანი არასოდეს არაა სასათბურე მეურნეობა. ერთხელ შეიძლება არ გაამართლოს, მაგრამ ბევრი შრომით შედეგს აუცილებლად მიიღებთ. წარმატებებს ვუსურვებ ყველას, ვინც ამ სფეროში მოღვაწეობს. თუ გამოცდილების გაზიარება ვინმეს დასჭირდება, მზად ვარ, გვერდით დავუდგე. რაც მეტი ხარაგაულელი მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს, უფრო კარგი იქნება. სურვილიც ნაკლებად გაუჩნდებათ აქედან წასვლისა და რაიონიც გაძლიერდება.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულის საავადმყოფოში თვალის ოპერაციები ტარდება

ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულება ადგილობრივებს მნიშვნელოვან სიახლეებს სთავაზობს. ამიერიდან მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ კლინიკაში ოფთალმოლოგიური ოპერაციები გაიკეთონ. ამ მიმართულებით პირველი ოპერაციები პროფესორმა საშა ალექსიძემ დამხმარე მედპერსონალთან ერთად 30 აპრილს ჩაატარა, რომელმაც წარმატებით, ყოველგვარი გართულებების გარეშე ჩაიარა. მომსახურების ხარისხით კი პაციენტები კმაყოფილი არიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ საშას ამ სფეროში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და ამჟამად თბილისში, სხვადასხვა წამყვან კლინიკებში, მუშაობს. მას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.1982-1986 წწ. იყო თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ექიმი–ოფთალმოლოგი; 1986-1988 წწ. გახლდათ რესპუბლიკურ ოფთალმოლოგიური ცენტრის, პროფესორი, განყოფილების გამგე; 1989 წლიდან კი აღნიშნულ ცენტრს ხელმძღვანელობს.

იგი ავტორია 85 სამეცნიერო ნაშრომისა- კატარაქტის, გლაუკომის, თვალის ტრავმატიზმის, ბადურის ჩამოშლის და სხვა პრობლემებზე.

შეგახსენებთ, რომ თვალის ოპერაციები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ფინანსდება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარებს შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით. კერძოდ, სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს დარჩენილი ხარჯის 70% უფინანსდება, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში არარეგისტრირებულ პირებს კი- 50%.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის კლინიკა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აპარატურითაა აღჭურვილი და აქ სხვადასხვა სახის ოპერაციები ტარდება.

ეკა შავიძე

რწმენა და ოპტიმიზმი - გამარჯვების საწინდარი

პროფესიული კავშირი მისი ნებისმიერი წევრის საიმედო ძალა და თანადგომაა. ასეთივეა პედაგოგთა თავისუფალი პროფესიული კავშირიც. მისი ერთ-ერთი საიმედო რგოლია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებული ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ისეთი გამოცდილი, საიმედო და გულისხმიერი პიროვნება, როგორიცაა ქალბატონი ლალი ვაქერ-სებისკვერაძე.

მიმდინარე წლის 30 აპრილს ხარაგაულში ორგანიზაციის მე-7 რაიონულ კონფერენციაზე დიდი სიხარული განიცადა ინოვაციების ცენტრში დამსწრე თითოეულმა პიროვნებამ, როცა ქალბატონი ლალი 2013 წლიდან დღემდე გაწეული მუშაობის ამსახველი მოხსენებით წარდგა მსმენელთა წინაშე.

გმირობის ტოლფასი იყო ის თავდადება და ენთუზიაზმი, რაც ქალბატონი ლალის წინამძღოლობით გამოავლინეს განათლების პროფესიული კავშირის ერთგულმა წევრებმა. 2010 წლიდან თითქმის პარალიზებული იყო ორგანიზაცია. იგი მხოლოდ იურიდიული სტატუსით არსებობდა. თუმცა ძლიერი იყო რწმენა და ოპტიმიზმი, რომ ყველაფერი დარეგულირდებოდა, ყველაფერი კალაპოტში ჩადგებოდა. 2013 წლიდან თანდათან დაჰბერა კეთილმა სიომ და დიდი რუდუნებით, სიკეთისაკენ სწრაფვითა და თავდადებით, შეიძლება ითქვას ,,მკვდრეთით აღდგა“ პედაგოგთა ეს საიმედო ძალა...

დღეს აღნიშნული ორგანიზაცია 600-მდე წევრს ითვლის და მისი რიგების შევსება-განმტკიცება გრძელდება.

გვიხარია, რომ ქალბატონი ლალი ვაქერ-სებისკვერაძე მეოთხედ იქნა არჩეული ორგანიზაციის ხელმძღვანელად, ხოლო პროფესიული კავშირის ვეტერანი წევრები: განათლების სფეროს ღვაწლმოსილი მუშაკები: მერი გიორგიძე (ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლა), ლამარა ციცქიშვილი (მარელისის სკოლა), ალექსანდრა ჭიპაშვილი (ვერტყვიჭალის სკოლა), ელვარდი გიორგიძე (ხარაგაულის მეორე საჯარო სკოლა), თამარ გაჩეჩილაძე (ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება) მადლობის სიგელითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. ჯილდოები მათ უშუალოდ გადასცა სპმთპ -ის პრეზიდენტმა ქალბატონმა მაია კობახიძემ.

ეკა შავიძე

ᲡᲞᲛᲗᲞ-Ს ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲚᲐᲚᲘ ᲕᲐᲥᲔᲠ-ᲡᲔᲑᲘᲡᲙᲕᲔᲠᲐᲫᲔ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓ ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ

ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო მეშვიდე კონფერენცია ჩატარდა. შეხვედრას, სპმთს-ს პრეზიდენტი მაია კობახიძე, ვიცე-პრეზიდენტი მარიამ ალუღლიშვილი, დეპარტამენტის უფროსი თემურ კიკნაძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, მოადგილე რუსუდან გიორგაძე, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები, ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის 60 წევრი და საგანგებოდ მოწვეული ღვაწლმოსილი პედაგოგები ესწრებოდნენ.

პროფკავშირების ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლალი ვაქერ-სებისკვერაძემ 2013 – 2018 წლებში განხორციელებულ აქტივობებზე ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სპმთპ წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივად ზრუნავს და ტრენინგები როგორც პედაგოგებს, ისე სკოლამდელი აღზრდის თანამშრომლებსაც უტარდებათ. მან ასევე ყურადღება სამომავლო გეგმებსა და პრიორიტეტებზეც გაამახვილა.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ საკუთარ გამოსვლაში აღნიშნა, რომ სწორედ მათი უშუალო ძალისხმევით საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში განხორციელდა ცვლილებები, რამაც გააუმჯობესა საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებები.

შეხვედრაზე ღია კენჭისყრით საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ ლალი ვაქერ-სებისკვერაძე მეოთხედ აირჩიეს. იგი ორგანიზაციას 2004 წლიდან ხელმძღვანელობს. სხდომაზე ასევე აირჩნენ სპმთპ-ს მეცხრე ყრილობის დელეგატები: მარინა ვეფხვაძე (დაბის N2 საჯარო სკოლა), თეა ტალახაძე (ბაზალეთის სკოლა), ნათია გოგსაძე (სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება) და ლალი ვაქერ-სებისკვერაძე (პროფკავშირების ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე).

თამარ მაღრაძე

არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფასში ცვლილებები განხორციელდა

არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფასი გაიზარდა. ამის შესახებ გადაწყვეტილება დეპუტატებმა 7 მაისს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე მიიღეს. საკითხი მათ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ გააცნო. მომხსენებლის ინფორმაციით, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ფასის დადგენა შესაბამის ტერიტორიაზე მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით მოხდება. ამ ეტაპზე დაბისა და საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 50 მეტრ რადიუსში (თითოეულ მხარეს) მიწის ნორმატიული ფასი ნაცვლად 7,10 ლარისა 9,77 ლარი იქნება. შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) კი 3,55 ლარის ნაცვლად 4,49 ლარი.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის მიწის ფასი 3,91 ლარით (ნაცვლად 2,13 ლარისა) განისაზღვრება, ხოლო დასახლებათა შორის არეალში - 2,44 ლარით (ნაცვლად1,78 ლარისა).

თამარ მაღრაძე

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲔᲡ

7 მაისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საკითხი მათ ამავე სამსახურის უფროსმა დავით დევდარიანმა გააცნო. მომხსენებლის ინფორმაციით, გასულ წელს მოხდა 16 წელს მიღწეული 108 ჭაბუკისა და 156 რეზერვისტის პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა. ცენტრალურ გამწვევ კომისიაზე წარდგენილი 212 წვევამდელიდან 130-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადაუვადდა სავალდებულო სამსახურში გაწვევა, 44 ახალგაზრდა კი ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფში. გარდა ამისა, 8 პირი მიღებულ იქნა საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში. როგორც დევდარიანი განმარტავს, გასულ წელს გეგმა-დავალება 168%-ით შესრულდა. სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგაზაფხულო გაწვევა და იგი 30 ივნისს დასრულდება. ბატონი დავითის თქმით, მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურს 2018 წლის გაწვევის პერიოდში გეგმა -დავალებით 24 წვევამდელის ჩარიცხვა დაევალა. ჩატარებული მოკვლევების შედეგად, პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ამჟამად 104 ჭაბუკია აყვანილი.

შეგახსენებთ, რომ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას ექვემდებარებიან 18-დან და 27 -წლამდე მოქალაქეები, რომლებიც უწყისის მისვლის შემდეგ 7-დან 14 დღის ვადაში უნდა გამოცხადდნენ დაწესებულებაში. თუ პირი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოახერხებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას, უფლება აქვს, გადავადებით ისარგებლოს. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს ფულად ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღის ვადით. სასჯელის მოხდის ან ჯარიმის გადახდის შემდეგ ამ პირმა სამხედრო სავალდებულო სამსახური მაინც უნდა გაიაროს.

თამარ მაღრაძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲙᲠᲘᲜᲘᲜᲒᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის ორგანიზებით (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე), ხარაგაულის მოსახლეობისათვის უფასო სკრინინგ - პროგრამა განხორციელდა. დაინტერესებულ პირებს გამოკვლევები ქ. ქუთაისში, კლინიკა ,, ჰერაში“, ჩაუტარდათ.

საქართველოს რეგიონებში აღნიშნული პროგრამა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დაფინანსებითა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით ხორციელდება.

უფასო გამოკვლევები მოიცავს:

ძუძუს კიბოს სკრინინგს 40-50 წლის ქალებში;

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგს- 25-60 წლის ქალებში სამწლიანი ინტერვალით;

პროსტატის კიბოს სკრინინგს 50-70-წლის მამაკაცებში.

დაინტერესების შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს. ტელ: 22 17 47; 577 14 05 33 ნანა ბერაძე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მადლიერებას გამოხატავს კლინიკა ,,ჰერას“ ხელმძღვანელის, მარიკა დავითულიანის, მიმართ, ესოდენ კეთილ საქმეში მონაწილეობისა და თანადგომისათვის.

მინი ფეხბურთში ჯიცხის გუნდმა გაიმარჯვა

ხარაგაულში ტურნირი „სპორტი ბარიერების გარეშე“ დაიწყო, რომელშიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით 14-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვები მონაწილეობენ. პროექტის ფარგლებში პირველი შეჯიბრი მინი ფეხბურთში გაიმართა და მასში მონაწილეობა კიცხის, ბორის, ვარძიის, ხიდრისა და ბორითის გუნდებმა მიიღეს. ფინალში ერთმანეთს კიცხისა და ვარძიის გუნდები დაუპირისპირდნენ. საბოლოო გამარჯვება კი კიცხის გუნდმა მოიპოვა.

ტურნირის მხარდამჭერია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

სატურნირო თამაშები ხარაგაულის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს.

ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲨᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲠᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ორგანიზებით მაგიდის ჩოგბურთში გოგონებსა და ვაჟებს შორის მუნიციპალიტეტის პირველობა გაიმართა. ტურნირში მონაწილეობა საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მიიღეს.

ადგილები გოგონებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა:
პირველი ადგილი - თამუნა გიორგაძე (ბორის სკოლა-პანსიონი);
მეორე ადგილი- ფიქრია ცისკაძე (ბორის სკოლა-პანსიონი);
მესამე ადგილი - ნათია გლუნჩაძე(მესამე საჯარო სკოლა);
ვაჟებს შორის:
პირველი ადგილი -სერგი მაჭავარიანი (ბორის სკოლა-პანსიონი);
მეორე ადგილი- ვაჟა ბერაძე (ხიდრის საჯარო სკოლა);
მესამე ადგილი - საბა არუთინიანი (მესამე საჯარო სკოლა).

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲨᲔᲖᲚᲣᲓᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო შეიქმნა. საბჭოს დებულება განსახილველად 7 მაისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ წარუდგინა. როგორც მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს. ნანა კიკნაძის განმარტებით, საბჭოს ეყოლება თავმჯდომარე, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე უხელმძღვანელებს. რაც შეეხება წევრებს - საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად მუნიციპალიტეტის მერი დააკომპლექტებს.

საბჭოს სხდომები გაიმართება კვარტალში ერთხელ და აღსანიშნავია, რომ იგი სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებებს მიიღებს. გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშს კი პერიოდულად მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის საკითხს დეპუტატებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲭᲐᲓᲠᲐᲯᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ

ა(ა)იპ „ხარაგაულის სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრში“ მუნიციპალიტეტის პირველობა გაიმართა ჭადრაკში. ჩემპიონატში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან ოცდაათამდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

ტურნირზე გოგონებს შორის პირველი ადგილი ვახანის საჯარო სკოლის მოსწავლემ მედეა ინასარიძემ დაიკავა, მეორე ადგილი - გვანცა გოგოლაძემ (ვაშლევის საჯარო სკოლა), ხოლო მესამე ადგილი ნინო მაღრაძემ (ვახანის საჯარო სკოლა) მოიპოვა.

ვაჟებს შორის პირველი ადგილის მფლობელი მესამე საჯარო სკოლის მოსწავლე ვაჟა მაღრაძე გახდა. მეორე ადგილზე ნიკა კიკნაძე (საღანძილის საჯარო სკოლა), ხოლო მესამე ადგილზე მურმან ბიწაძე (ღორეშის საჯარო სკოლა) გავიდნენ.

გამარჯვებულებს სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ.: 595-51-98-12